№ 279
შაბათი, 25 დეკემბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 279
შაბათი, 25 დეკემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

„ივერიის" ტელეფონი № 227

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 29 ნოემბერს.

---

აზნაურნი ნინო მიხეილის ასული, მინა, ესემია და ნადეჟდა ბიჭიას ძენი და ასულნი კიკნაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი—საყვარელის მეუღლისა და მეორენი—ძმისა თვისისა აზნაურის

**ვასილ ბიჭიას-ძის კიკნაძისას,**

და სთხოვენ მობძანდენენ ხუთშაბათს, ამა დეკემბრის 30 სა, სადგურ „ბელოგორში", საკუთარ სახლში, მიცვალებულის განსვენებაზედ დასასწრებად. (1—211—1)

---

## ქართული თეატრი

კვირას, 26 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

## პარიზის ღატაკნი

მელოდრ. 5 მოქ. და 7 სურათად

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნ კარგარეთელი, ტ. აბაშიძე, ნებიერიძისა, გარელი და სხვ. ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე

ხუთშაბათს, 30 დეკემბ. ბენეფისი კ. დ. ყიფიანისა

რეჟისორნი შ. აბაშიძე და ქ. მესხი.

---

6 იანვარს 1900 წლს,

ტფილისის „კრუჟოკის" დარბაზში

გამართული იქნება

## ბალი

ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

ბილეთების ფასი 2 მ. 10 კ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ქალებს თვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის, სამხედრო წოდების კაცთათვის საპარადო ტანისამოსი, დანარჩენებისათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის" შვეიცართან.

---

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—68)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница Д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ვ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სალოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ სალოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუგაა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

---

## იროდი მეფე

(საშობაო მოთხრობა)

### I

— ცუდს ვარსკვლავზედ ვარ დაბადებული, ცუდს ვარსკვლავზედ!!! ეს ოცდა ჩვიდმეტი წელიწადია ურიათა მეფე ვარ, მათთვის თავ-განწირული, მათის სჯულის პატივისმცემელი, მაგრამ მაინც იგინი ვერ გავიერთგულე!!. რა მსხვერპლი არ შევსწირე იმათის გულის მოსასყიდად: შიმშილობა გაჩნდა, და მე ჩემი სიმდიდრე უარ-ვჰყავ, პური ვიყიდე და დამშეულს ერს დავურიგე, ტაძარი, მათი ძვირფასი წმიდა-წმიდათა, გაუახლე, მაგრამ არ იქნა, და ვერ მოვისყიდე ურიათა გული... ოხ! ეს საზიზღარი, ეს მცირე ერი!!! ნეტავ შემეძლოს ერთს წუთში გავსწყვიტო იგი!!! თვისს მეფეს ჰნატრობენ, მეფეს ელიან!!! მე კი... მე, მათთვის თავგანწირულს მეფეს, მათს მწყალობელს უარ მყოფენ, თვალის დასანახავად ვეჯავრები!.. გული მიკვნესის, სული მიწუხს, ვიდრე იმ ხმის სიმართლეს გავიგებდე, რომელიც გავრცელდა ხალხში; ამბობენ, მეფე ურიათა დაიბადაო, მაგრამ მე ვარ მეფე ურიათა, მე ვარ!! დაბეჯითებით გაიძახიან: ურიათა მეფე დაიბადაო!!... განა შეიშვნევთ, თქვე საწყლებო, თქვენს მეფეს! გაუტანლებო, ძმის სისხლის მსმელები ხართ, ერთმანერთის მტრები, ზნეობით დაცემულნი, ღარიბ-ღატაკნი განა ღირს-კი ხართ საკუთარ მეფეს?!. მაგრამ მაინც იძახიან: ურიათა მეფე დაიბადაო!—სწორედ ვერ გამიგია რას მოასწავებს ეს ხმა; შეიძლება, ეს ხმა განზრახ გავრცელებულია, რომ გული გამიტეხონ, სწორედ ასეა!!! დაწყნარდი, გულო, დამშვიდდი სულო! ვიდრე პირში სული მიდგია, სამეფო გვირგვინს ვერავინ წამართმევს, და მერე კი... ღმერთმა იცის!..

ასე ამბობდა იროდი, მეფე ურიათა, თავისს სამეფო სასახლეში მყოფი ქალაქს იერუსალიმში... მისი გამხდარი სახე, ჩავარდნილი თვალები, მისი დანაოჭებული შუბლი, მისი ღრმად გათეთრებული თმა და წვერ ულვაში ამტკიცებდა, რომ თავისს სიცოცხლეში ბევრი სევდა და ტანჯვა გამოევლო, ბევრი მღელვარება სულისა დაეთმინა... მართლაც, სამეფო გვირგვინი ხვდა მას ბევრის ტანჯვის, დამცირებისა და მწუხარების შემდეგ... თითოეული წელი მისის მეფობისა ურიასტანში აღინიშნებოდა რაიმე შემთხვევით, რომელსაც იროდის სულის მდგომარეობაზედ ცუდი გავლენა ჰქონდა: ხან აუღელდებოდა ხალხი, რომელსაც უცხო ტომის კაცის მეფედ ყოფნა არ ეჭაშნიკებოდა; ხან შიმშილი გაჩნდებოდა ხან ჭირი, ხან ცაზედ კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა, რომლისაც ძლიერ ეშინოდა ცრუ მორწმუნე მეფეს; ხან კიდევ მეფე ცუდს სიზმრებს ჰხედავდა... აი, გუშინ წინ, იქით კვირას ერთი რაღაც ნაირი არა ჩვეულებრივი დიდი ბრწყინვალე ვარსკვლავი გამოჩნდა აღმოსავლეთით და საამურად ციმციმებდა მოწმენდილის ცის სივრცეზედ... სწორედ ამ ვარსკვლავის ცაზედ გაჩენის დროსვე გავარდა ურიასტანში ხმა: ურიათა მეფე დაიბადაო... ამ ხმამ პირველს ხანად ფრიად შეაწუხა იროდი, მაგრამ ბოლოს იმან იმით ინუგეშა თავი, რომ ეს ხმა ურიების შეთხზული და განგებ გავრცელებულიაო.

### II

— ნეტავ რას დაიარებით ამ დროს, ამ სიშორეს რამ მოგიყვანათ?! თუ თუ მტრები ხართ, პირდაპირ სთქვით; და თუ მოყვრები, მიდობა თქვენს მობრძანებას?! სთქვით რად მობრძანებულხართ?!.

— დიდებულო მეფევ, აკურთხოს შენი მარჯვენა!! დიდებულ არს ცათა შინა ღმერთი!......

— ჩქარა ბრძანეთ, რად მობრძანებულხართ...!! განა ეს შორის დარბაისელს ადამიანს?! სპარსეთით მოსულხართ ჩემს სატახტო ქალაქში და აქ იმ ურიათა შორის, რომელნიც ყოველს დღეს ჩემს სიკვდილს ჰნატრობენ, ჰკითხულობთ მოურიდებლად: „სადა არს, რომელი იგი იშვა, მეუფე ურიათა? რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყვანისცემად მისსა"... გაიგეთ, რომ მე გახლავარ მეფე ურიათა, და ახალი მეფე მათთვის არც დაბადებულა და არც დაიბადება... ჩემი მემკვიდრეები-კი გახლავან; ანტიპპა, ფილიპპე და არხელაოსი, რომელთაც, თუ გსურთ, ეხლავ გაჩვენებთ... და რაიც შეეხება ახალს მეფეს ურიებისას, იმის დაბადების ხმა ტყუილია, განზრახ გავრცელებულია. მაშ მშვიდობით!!...

ასე ეუბნებოდა შემკრთალი იროდი მეფე ორს მოგვს, რომელიც სპარსეთიდგან მოსულიყვნენ იერუსალიმს ახლად დაბადებულის იესოს თაყვანსაცემად.

— დიდებულო მეფევ! ურიების საღმრთო წერილი, ბერძნულს ენაზედ ნათარგმნი, ჩვენ გაცნობილი გვაქვს: სწორედ იქ არის აღნიშნული დრო, როდესაც უნდა დაიბადოს ეს მეფე ურიათა... აღმოსავლეთით ვიხილეთ დიდებული, არაჩვეულებრივის შუქით მოციმციმე ვარსკვლავი, რომელიც თითქოს გვიწვევდა იერუსალიმისკენ... სწორედ ამ ვარსკვლავის გამოჩენა მოხდა იმ დროს, რა დროსაც საღმრთო წერილი ურიების მეფის დაბადებას აღნიშნავს... წამოვედით იერუსალიმისკენ და წინ წამოგვიძღვა ეს ვარსკვლავი, სადაც გავჩერდით, ისიც იქ გაჩერდა, წამოვედით, ისიც დაიძრა და წამოვიდა... აი საღამოს ჟამს, იერუსალიმის პირდაპირ ზემოდ გარკვევით იხილავთ იმ ვარსკვლავს, სდგას ერთს ადგილს და არ იძვრის... არა, მეფეო, აქ რაღაც სასწაულია!!... ეს რაღაც არაჩვეულებრივი მოვლენაა ახლის დროს მომასწავებელი, ახლის ცხოვრების მაუწყებელი. გთხოვთ, უბრძანოთ საღმრთო წერილის მცოდნეებს, გაიგონ, სად უნდა დაბადებულიყო მეფე ურიათა!! გვრწამს და გვჯერა, რომ ის დაბადებულია!!. უთხრეს მოგვებმა იროდის, რომელიც ამ სიტყვების გაგონებით შეძრწუნდა ფრიად, სახეზედ მკრთალი ფერი დაედო და უნებლიედ აკანკალებულმა ცხარე ცრემლი დაჰღვარა!!...

დიდხანს იყო იროდი დადუმებული, გარინდებული და სიტყვის თქმის ძალა აღარა ჰქონდა... ბოლოს როგორც იყო წამოილუღლუღა ორიოდე სიტყვა და თან მისს ახლოს მდგარს კარის კაცებს შეხედა: „შეჰკრიბეთ მღვდელ-მთავარნი და მწიგნობარნი ერისანი"...

არ გასულა ამის შემდეგ ერთი ჟამი, რომ ურიათა მღვდელმთავრები და მწიგნობრები შეიკრიბნენ იროდისას. გადაშალეს მიქეა წინასწარმეტყველის წიგნი და აღმოიკითხეს შემდეგი: „შენ, ბეთლემ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა ეგე იუდასა, არა სადა უმრწემეს (ნაკლები) ხარ მთავართა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი, ისრაილი,"...

ახლა-კი იროდიმ ძალ-ღონე მოიკრიბა, თვისი შიში დაჰფარა, წელში გაიმართა და მეფურის სიამაყით დაუწყო ლაპარაკი მოგვებს.

— მაშ, როგორც სჩანს, ურიათა მეფე ბეთლემში დაბადებულა... ახლოს გახლავს ბეთლემი... დღესვე შეგიძლიანთ მიხვიდეთ...

ამის შემდეგ იქ შეკრებილი ერი დაითხოვა და მარტოდ დარჩა... საშინელმა სევდამ მოიცვა მისი გული, აღარ იცოდა, რა ექნა იმ ახლად დაბადებულის მეფისთვის, როგორ მოესპო მისთვის სიცოცხლე.

— მეო, ამბობდა იგი განზრახ არ ავღელდი ურიების წინაშე, თუმცა გულში-კი მღელვარებას ვგრძნობდი. ისე მოუსპობ იმ მეფეს სიცოცხლეს, რომ არც-კი ვისმეს ეცოდინება... მე ვარ მეფე ურიათა და ჩემს გარეშე მათ სხვა მეფე არა ჰყავთ. ეხლავ საიდუმლოდ მოვუწოდებ მოგვებს, გამოვკითხავ ვარსკვლავის ამბავს და თან ვთხოვ, რათა უკანვე დაბრუნდნენ და შეატყობინონ, მართალია თუ არა ურიათა მეფის დაბადების შესახებ გავრცელებული ხმა!! მერე... მერე... მე ჩემის ხმლით წარვკვეთ იმას თავსა, მოვსპობ მისს სიცოცხლეს დედამიწაზედ...

იროდიმ მართლაც საიდუმლოდ მოუწოდა მოგვებს და გამოიკითხა ამათ იგი გამოჩინებულისა მის ვარსკვლავისა და თან უთხრა: „მივედით და გამოიკითხეთ ჭეშმარიტად ყრმისა მისთჳს და რაჟამს ჰპოვოთ იგი, მითხართ მე, რათა მეცა მივიდე და თაყვანის ვსცე მას!".

მოგვებმა იროდის აღუთქვეს აღსრულება მისის სურვილისა და ბინდისას გაემგზავრენ ბეთლემს... მეფე იროდიმ დიდის თავაზით გამოაცილა თვისის სასახლიდგან მოგვები.

მთელის იერუსალიმის ერი და მეფე იროდიც გაკვირვებით შესცქეროდნენ არა ჩვეულებრივს ვარსკვლავს, რომელიც დაიძრა და წინ მიუძღოდა ბეთლემს მიმავალ მოგვებს... ამ საუცხოვო გარემოებამ შეაძრწუნა იროდი მეფე და ყოველი იერუსალიმი მისთანა!..

ფარი

(დასასრული იქნება)

---

## ტივერი და ვერონიკა

(თარგმანი)

I

იესო ნაზარეველი გოლგოთაზედ მიჰყავდათ. ეკლიანი გვირგვინი სჩხვლეტდა იმის ღვთაებრივ შუბლს. სისხლის ოფლი გადმოსდიოდა ტანჯვისაგან მისუსტებულს სახეზედ. კაცობრივი ბუნება ქვეყნის მხსნელისა კაცურს ტანჯვას განიცდიდა. მიჰყავდათ იგი, და იერუსალიმის მოქალაქენი შეჰყურებდნენ გოლგოთისაკენ გამზადებულს. და აი ეს ტანჯვა ებრაელთა სატახტო ქალაქის მცხოვრებთა შორის სცნო კეთილმსახურმა დედაკაცმა, სახელად ვერონიკამ. შევიდა ვერონიკა სახლსა თვისსა, გამოიტანა იქიდგან წმინდა ხელმანდილი, მიუახლოვდა იესოს და მოსწმინდა გასისხლიანებული სახე. აკურთხა უფალმა დედაკაცი იგი, ცნობილი თავის რწმენით, ხოლო ხელმანდილსა მას ზედა აღიბეჭდა ღვთაებრივი სახე მაცხოვრისა. ილოცა ვერონიკა ამ ხელთ უქმნელ ხატის წინაშე და სთხოვდა სხვათა ლოცვასა. მიდიოდნენ უძლურნ სნეულნი და იკურნებოდნენ. მიდიოდნენ მწუხარენი და შვებასა ჰპოვებდნენ.

ჯვარცმული მაცხოვარი-კი წერილისამებრ მესამესა დღესა აღსდგა და მთელ ქვეყანას მოეფინა იმისი სწავლა.

ჰქადაგებდნენ და ჰფენდნენ ამ სწავლას მოციქულნი, ახლად მოქცეულნი ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა. ჰქადაგებდა კეთილმორწმუნე ვერონიკაც.

II

დეკემბრის ღამე იყო. ცეზარის სასახლეში კაპრის კუნძულზედ ყველას ეძინა. მდიდრულად მართულ საწოლში განისვენებდა სნეული ცეზარი ავგუსტ ტივერი. საოცარი ქავილი მთელის ტანისა ძილს უფთხობდა რომის მბრძანებელს. ზიზღით შეჰყურებდა ტივერი ოთახში დალაგებულს ნივთებს, ზიზლსა ჰგვრიდა დიდის პარრაზიას სურათიც, რომელზედაც ტიტველ-შიშველი მელეაგრა გადაჰხვეოდა აგრეთვე შიშველ ატალანტის, სურათი, რომელიც ცეზარმა ერთის სენატორის მიერ ნაანდერძევ მილლიონ სესტერცის ამჯობინა. ზიზლსა ჰგვრიდნენ აგრეთვე საყვარელი „ჰიჰყინებიც" შვიდის წლის ვაჟი და ექვსის წლის ქალი, შეუდარებლად ლამაზნი, მაგრამ ამ სილამაზის გამო შეგინებული და შერცხვენილი ბავშვები, რომელთაც, როგორც მორჩილ ლეკვებს მბრძანებლის ფერხთით ეძინათ. ეზიზღებოდა საწოლ ოთახის სიმდიდრეც. იმპერატორმა ფეხი ჰკრა მძინარე ბავშვებს, გარეკა ოთახიდგან. ჩამოაგდო კედლიდგან პარრაზიას სურათი, შემდეგ საწოლად პირქვე დაეცა და ქვითინი დაიწყო. მოაგონდა თავის მიერ ჩადენილი ბოროტ-მოქმედებანი და საზიზღრობანი, მოაგონდა გარყვნილება, და სასოწარკვეთილმა ტივერიმ ცრემლები ველარ შეიკავა, უეცრად, ღამის სიჩუმის დროს, რომელსაც მხოლოდ იმპერატორის ქვითინი არღვევდა, გარკვევით მოისმა: „დილაზედ შვებას ჰნახავო". ეს ხმა იმდენად დამამშვიდებელი იყო, რომ ტივერის მაშინვე ჩაეძინა.

III.

ღამის სევდა და შიში მალე გაჰფანტა დილის მზის პირველმა სხივებმა. იმპერატორი ისეთივე წამოდგა საწოლიდგან, როგორიც ყოველთვის იყო: ეჭვიანი, ღვარძლიანი, სხვათა მასხარად ამგდები.

იმპერატორი დარბაზში იჯდა, გარს ეხვივნენ მლიქვნელნი, ფურმოჭრილნი ყმანი, ჰაბუკნი და ქალნი, სამარცხვინო ტანისამოსში გამოწყობილნი, და შიშველი გარყვნილნი ბავშვები.

იმპერატორი ყველას დასცინოდა. უპატიურებას აყენებდა; იქ მყოფნიკი თრთოდნენ და ჰკანკალებდნენ. ყველა შიშით მოელოდდა, ცეზარმა სისხლის ღვრით სიამოვნება არ მოინდომოს და ერთ-ერთი ჩვენგანი მოულოდნელად ამ სურათის მსხვერპლი არ გახდესო.

IV

დარბაზის გარედგან ხმაურობა მოისმა. დარაჯნი ვილაცას იჭერდნენ და შიგნით არ უშვებდნენ. ტივერიმ სეანი გაჰგზავნა ხმაურობის მიზეზის შესატყობად.

სეანი მალე დაბრუნდა.

— ვიღაც დედაკაცია იქ, ხელმწიფეო,—სთქვა სეანმა: თეთრ ტანისამოსშია გამოწყობილი და ცეზარის ნახვას ნდომულობს.

— რად უნდივარ მაგ დედაკაცს?—ჰკითხა ცეზარმა.

დარაჯმაც ეგევე ჰკითხა, მაგრამ პასუხს არ აძლევს.

— ლამაზია? ხელ-ახლად ჰკითხა ტივერიმ.

— დიაღ, შეუდარებელის სილამაზისაა, უავგუსტოესო ცეზარ!

— თუ ლამაზია, შემოიყვანეთ.

V

ვერონიკა შევიდა და დარბაზის შესავალში გაჩერდა. დაფიქრებულს სახეზედ ღრმა რწმენის შარავანდედი გადაჰკვროდა.

— რა გინდა?—განგებ მოღუშულის სახით ჰკითხა ტივერიმ.

— შენგან, ცეზარ, არაფერი არ მინდა, მაგრამ მე-კი გინდივარ,—მიუგო ვერონიკამ.

— შენ მინდიხარ? ვინა ხარ, გამაგებინე? საიდგან მოხვედი!

— იერუსალიმიდგანა ვარ, გადმოვცურე ზღვა, რათა განუგეშო და გაგკურნო.

— გმადლობ ზურნისათვის,—დაცინვის კილოთი მიუგო ტივერიმ: მაგრამ წუხილი და სენი არა მაწუხებს-რა.

— სწუხარ სულიერად და სნეული ხარ ხორციელად.

— ვინ ჰბედავს უარ-ყოფას იმისას, რასაც მე ვამტკიცებ!—შეჰყვირა გაცოფებულმა ტივერიმ.

— მე,—წყნარად მიუგო ვერონიკამ.

— შენ ჰბედავ, დედაკაცო, და ის კი გავიწყდება, რომ მისს უდიდებულესობას უპატიურებას აყენებ.

— მე არ ვუწყი არავინ სხვა დიდებული, ღვთის გარდა, და შენიც არ მეშინის, ცეზარ! მე კი არ ვლაპარაკობ შენს წინაშე, ჩემის პირით ძე ღვთისა ჰბრძანებს.

— ვინა? ვისზედ ლაპარაკობს ეს დედაკაცი?—გაკვირვებით იკითხა ტივერიმ.

მაგრამ პასუხი არავინ გასცა.

VI

— დღეს, ცეზარ, დიდი დღეა! დაიწყო ისევ ვერონიკამ, დღეს წლის თავია, რაც ხორციელად იშვა ძე ღვთისა სულისა წმიდისა და მარიამ ქალწულისაგან. ამ დღეს მოვედი შენთან გახარო ქრისტეს შესახებ.

— ქრისტეს შესახებ,—წაილაპარაკა ტივერიმ, თითქოს იგონებს რაღაცასაო.

— იმ ქრისტეს შესახები, რომელიც პონტის პილატის დროს ჯვარს აცვეს იერუსალიმში.

— იმისას ამბობს,—წასჩურჩულა სეიანმა,—რომლის შესახებაც რამდენჯერმე მოხსენება მოგართვათ, ღვთიურო ცეზარო, პალესტინის პროკონსულმა. ის ლაპარაკობს ეგ რეთ წოდებულ ებრაელთა მეფის შესახებ.

— მახსოვს, მახსოვს. ეგ ის ფილოსოფოსია, რომელიც ჩემის აზრით, არაფერში არ ყოფილა დამნაშავე. ვგონებ, მაშინ პილატე თანამდებობიდგან გადავაყენე ამის გამო, რომ ებრაელთა გამხეცებას ხელი შეუწყო.

— დიახ, ხელმწევ,—სთქვა სეიანმა.

— და ამ სიტყვისათვის, ცეზარო, წარმოსთქვა ვერონიკამ:—ბევრი მოგეტევება. შენ ჯერ არა გრწამს, მაგრამ იწამებ. ხალხი ცოდვაში იყო ჩაფლული, თითქოს ქვეყნიერება უკან მიდისო, მაგრამ ყოვლად მპყრობელმან ღმერთმან ქვეყნად გამოგზავნა ძე თვისი. მოვიდა-რა იგი ქვეყნად, სიყვარულსა ჰქადაგებდა. ჯვარზედ წამებით კაცთა ცოდვები გამოისყიდა. მოჰკლეს, მაგრამ მესამე დღეს აღსდგა, და აღდგომიდგან მეორმოცე დღეს ამაღლდა ზეცას და დაჯდა მარჯვენით მამისა. მე ვუყურებდი, როგორ მიდიოდა სასიკვდილოდ; პირველად არა მრწამდა, მაგრამ მენანებოდა მართალი და მოვწმინდე მას პირის სახეზედ ოფლი და სისხლი; მისი სახე აღიბეჭდა მანდილზედ და ვიწამე ცხოველთ-მყოფელი ღმერთი. და ეხლა, მისის დაბადების დღეს, მოვედი შენთან, ცეზარო? იწამე!

— რას ტიტინებს... დაიწყო ტივერიმ, ტახტიდგან ჩამოვარდა და პირქვე დაემხო.

რა მოხდა?

VII

ვერონიკამ სთქვა, რაც-კი სათქმელი ჰქონდა, ამოიღო თეთრი ხელმანდილი და იმპერატორის წინ გაშალა.

მანდილის შუა ადგილას ჰბრწყინავდა ნაღვლიანი სახე მაცხოვრისა. თავზედ ეხურა ეკლის გვირგვინი, რომლის ქვეშ გადმოდიოდა ალისფერი სისხლი, თითქოს ეხლა იღვრებაო. მაცხოვრის თვალები, შეჰყურებდა-რა ცეზარსა და მის გარშემო მყოფთ, მადლიანად ანათებდა.

და დაემხო პირქვე ტივერი, შემოიგლიჯა მდიდარი სამეფო სამოსელი და შესძახა: „ვხედავ მაცხოვარს ღმერთს და მრწამს იგი".

და დაემხო აგრეთვე პირქვე მთელი კრებული: ცოდვილი სეანი, ფლიდნი კარის კაცნი, ჰაბუკნი და სამარცხვინო ტანისამოსში გამოწყობილნი ასულნი, შიშველნი ბავშნი, ცეზარ ტივერის შემქცევნი და გამხარებელნი.

უძრავად ფეხზედ იდგა მარტო ვერონიკა თავისის თეთრის ტანისამოსით და მის ხელში ჰბრწყინავდა ხელთუქმნელი ხატი მაცხოვრისა.

ირწმუნა იმ დღეს ტივერიმ და არ შემწიკვლა სული თავისი ბოროტის საქმეებით და არ შეურაცხყო ხორცი თვისი გარყვნილებით. განიკურნა და დამშვიდდა სრულიად და იდღესასწაულეს შობა ქრისტესი კაპრის სასახლეში ისეთისავე მოწიწებით, როგორც ქრისტიანეთა სამლოცველოებში.

VIII

რამდენისამე დღის შემდეგ ეშმაკი ისევ შეუჩნდა სულს ტივერისასა და წარიტაცა სიძულვილისა, ბოროტებისა და გახრწნილებისაკენ. საშინელი სიკვდილით განშორდა იგი ამ სოფელს. არ ეღირსა ცხოვნება, თუმცა-კი იყო ისეთი დღე, როცა მან იწამა და ხსნა და ცხოვნება შეეძლო.

---

## „არ ვიზამ, არა!"

(საზოგაო სურათი)

I

უდიერად ჰყინავს და აბობოქრებული ქარი საშინლად ზუზუნებს. დაუდგრომელი ბუნების სტიქიონი აღტყინებულა, თითქო ვისმე განადგურებასა და ჯავრის ამოყრას უპირებსო!.. ისეთი ამინდია, რომ იტყვიან ხოლმე: ძაღლი არ გაიგდება გარეთაო! დაბა №-ის მცხოვრებნი მაინც არ ეპოვებიან და ყველა ასე თუ ისე ემზადება დიდებულის დღესასწაულისათვის. დიახ, ხვალ ოცდახუთი დეკემბერი თენდება. დღეს იესო ქრისტეს შობისა და ვინ იქნება ისეთი ქრისტიანი ადამიანი, რომ ხვალინდელის დღის მნიშვნელობა არ ესმოდეს?!. აი თუნდა სალომე შავბედაძისა, რომელმაც აგერ ოთხი თვეა რაც დაჰკარგა ქმარი. ქმარი, რომელიც მართალია ღარიბი ხელოსანი იყო, მაგრამ გემრიელს ლუკმას კი აჭმევდა თავისის პატიოსანის შრომით ცოლ-შვილს!.. სალომეს გული სავსეა ათას გვარის ბოღმით, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ლამაზსა და ახალგაზრდა სალომეს, სულ ორის წლის ჯვარ-დაწერილს, ჩამოეცალა მისაყდნობი ბურჯი და ქმრის სიკვდილს შემდეგ დარჩა ერთის წლის ბავშვით ღვთის ანაბარად. იმისთვის არც ფული იყო და არცა რამ სხვა, რომ შესძლებიყო გამოეკვებნა თავი, გამოეზარდნა თავისი სულზე უტკბესი პატარა პირმშო შვილი გიგო, პირწავარდნილი მამა, რომელიც ისე ძრიელ უყვარდა სალომეს. დღემდის გამოდიოდა გადანარჩუნებულის ორიოდ გროშით, ქმრის ხელის იარაღით, რომელთაც გაჭირვების დროსა ჰყიდდა.

სალომემ იარა საქმის საშოვნელად, რომ ბედნიერს დღეს რითიმე დახვედროდა, მაგრამ ვერ იშოვნა საქმე თავის სიყმაწვილე-გამოუცდელობით, მაინც-კი იმედს არ ჰკარგავდა, სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა. გადასწყვიტა მიემართა ამ ბედნიერის დღეებისათვის მოწყალე ხალხისთვის, შეძლებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად, მერე-კი იმედი ჰქონდა ეშოვნა საქმე, სარეცხი, საკერავი, პურის ცხობა. დაჰპირდნენ კიდეც. სიტყვით სალომე მზად იყო ყოველნაირი ჯაფა, ტანჯვა ეკისრნა, ეტანა, არ შერცხვენილიყო და გამოეზარდნა თავისი სიტკბოების ნაყოფი გიგო!.. ამასთან არ გამხდარიყო ხალხის გულისად და თავი არ შეერცხვინა უნამუსობით.

სალომე ამ ყოფაში იყო და ელოდა შვილის გამოღვიძებას, თავს წაადგა ისევ ის ტარტაროზი, ალქაჯი ნენე, რომელიც გასათხოვრობის აქეთია გადაჰკვიატებია, დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევს ჩ ხან ვის აღირებს საუნამუსოდ ხან ვის!.. უცნაური განსხვავება იყო მართლაც ამ ორ დედათა სქეს შორის. რამდენადაც პირველი იყო უხვად დაჯილდოვებული თვალ ტანადობით, უმანკოებით, სიტურფე-სიკეკლუცით, აღსავსე პატიოსნებითა და ყოველის ადამიანურის ღირსებით, იმდენად მეორე იყო მახინჯი როგორც გარეგნობით, ისე სულიერადაც. სალომე იქნებოდა ხნით ესე ოცის ოც-და-ორის წლისა, საშუალოზე მაღალი, შავ თვალ-წარბა, თეთრ-წითური, ელფერითა და ჯანღონით სავსე. ნენე-კი ორმოც-და-თვრამეტის, სამოცის წლისა, მაღალი, შავი, გამხმარი, თითქო ძვლის ჩონჩხია, განგებ ასხმულიო.

— ააა!.. ტურფავ, გაგიჭირდა?!.—დაიწყო ნენემ გესლიანად, შემოვიდა თუ არა ოთახში და დაინახა სალომე დაჩოქილი მაცხოვრის წინ, თავისის მეტად უ-

გვანის ხრინწიანის ხმით. ამასთან გადიხარხარა საზიზღრად. ეს სიცილი ჩვეულებრივის ადამიანის სიცილს არა ჰგავდა, უფრო ჯოჯოხეთური, საზიზღარი და შემაძრწუნებელი იყო. საბრალო სალომემ გაიგონა თუ არა ნენეს ხმა, გააკანკალ-გააჟრჟოლა, გაფითრდა და მომაკვდავის ფერი დაადგა!.. იმის მაგივრად, რომ ჩვეულებისამებრ მოხუცს მანდილოსანს ფეხზედ წამოსდგომოდა და სტუმარმასპინძლობისა, უმფროს-უმცროსის ჩვეულება დაეცვა; გაშრა ხატის წინ დაჩოქილი, თითქო მარმარილოს ქანდაკებაო! „კუდიანმა“-კი (ასე ეძახდნენ ნენეს) განაგრძო თავისის მაცდურის ენით:

— შენ ჩემს რჩევას როგორ წაუხვალ ვარდიკო!?. ჩემი სიტყვა ჯერ არსად გაბრუნდებულ-გაცრუებულა ღ იმედია, არც ეხლა გაცრუვდება! თან გველურად იღიმებოდა. სალომემ მოიკრიფა ძალ-ღონე, წამოდგა ზეზე და ხმის კანკალით უპასუხა:

— რა გინდა, ადამიანო, ჩემგან?!. რატო თავს არ დამანებებ?!. შენი ხო არა მართებს-რა, დედავ და თვალო?!. რას გადამეკიდე, კუდიანო ბებერო? დიდება შენთვის ღმერთო, ე რა ცეცხლია?!.

— არა გმართებს-რა?! ვინ გითხრა ჩემო მზეთ-უნახავო?! ჩემი დიდი ვალი გმართებს და შენ კი არიცი...

— არა მართებს რა, არა!, შეჰკივლა გაბრაზებით სალომემ და თან თვალზედ ცრემლი მოადგა. იმის კივილზედ გამოეღვიძა ბავშვს და მორთო ტირილი:—ვაიმე შვილო, გენაცვალოს დედა, შეგაშინე განა?! მოგიკვდეს დედა!.—სთქვა თავზარდაცემულმა სალომემ, მივარდა აკვანს, წაიჩოქა და ბავშვს ძუძუ მისცა.

— თუ არ გახსოვს, განაგრძო ნენემ: მე ჩამოგითვლი სათითაოდ და აბა დაიხსომე. გახსომს შალუტაშვილი რო გთხოულობდა, არ მისთხოვდი, კოჰლიაო. ის მაძლევდა გასამრჯელოდ ხუთ თუმანს, ავიღებდი კიდეც. ეს ერთი. გახსოვს მედუქნე პეტრუზას რო უნდოდი, დიდი ფულიც გაძლია და შენ გაინაზე, პატიოსნებას ყარტლიან მედუქნეებზედ არა ვყიდიო. ათ თუმანს მპირდებოდა. ეს თხუთმეტი თუმანი, ქაჯან. ყველანი მაძლევდნენ ზოგი ოც თუმანს, ზოგი თხუთმეტს, ათს, რვას, ხუთს და სამ თუმანზედ ნაკლებს კი არც ერთი. აზნაურებსა და ვაჰრებს ხო თვლა არა ჰქონდათ და არა აქვთ დღესაც, შენ რო ჰკუა გქონდეს. კნიაზი ვახტანგი ხო მეხვეწებოდა: ოღონც მამიხერხე, ოც თუმანს ნაღდს მოგცემ და ერთი დღის მიწასაც, აი შენი ვენახის გვერდზე რო მაქო, იმასაც გაჩუქებ, კანონიერად ნატალიურში დაგიმტკიცეფო. შე ხო, შე საძაგელო, გაქალბატონებას გიპირებდა გლეხის გოგოს. არა, ერთი როგორ აღარავინა სჯობიან შენს დურგალს შაქრუას?! ეხლაა შვილო და რამდენჯერ მოვსულვარ, მომიტანია ბედნიერება, სიმდიდრე?! შენ კი შემჯდარხარ ეშმაკის ცხენზედ, თითქო დიდი თავადის ქალი, ან ნაცოლარი იყო! ერთი გლეხის გომბიო და გლეხის ნაცოლარი კი ხარ!.. დაგიდგა თვალი, ხო გამოსუტე, რაც გებადა და რიღას იმედი გაქვს?!. რითი გინდა ირჩინო თავი?!. გელაპარაკები, ამ ხუთის წლის განმავლობაში შენ მე სულ ცოტა, სულ ცოტა რო ვთქვა, ორასი თუმანი ფული დამაკარგვინე. მეტილა გინდა?! იქნება ეს ვალი არა გგონია შე საცოდავო?!. ვიდრე შენის კისრიდან ერთი ორად არ ავიღებ, მოგეშვები სიკვდილამდე?!. თვეში სულ ცოტა ათ თუმანს ფულს მაკარგვინებ. შენ ქრისტიანი სული გიდგია?!—კიდევ უნდოდა ნენეს განეგრძო თავისი მოურიხავი ლაყბობა, მაგრამ სალომეს, რომელიც ბავშვს ძუძუს აწოვებდა, ნენეს საზიზღარი სიტყვები ტყვიასავით ხვდებოდა გულში, მწვავ შანთსავით უვლიდა სხეულში და გველსავით ჰკლაკნიდა. რაკი აღარ ათავებდა პილწ ლაპარაკს ნენე, მოუვიდა გული, გაუმწარდა სიცოცხლე, აევსო მოთმინების ფიალა და გაანჩხლებული წამოვარდა ზეზე სიმწვავისაგან ათრთოლებული...

II

— გადი, გადი აქედგან, შე ბენძო, ქოფაკო!.. ჩემის ნამუსით გინდა ვაჭრობა დაიწყო და გამდიდრდე?!. შეუტია გაანჩხლებულმა და გულზედ ცეცხლ-მოკიდებულმა ახალგაზდა სალომემ და თან დაუმატა:—ეს დღეს ჩემი სახლია და გთხოვ მომშორდე, თორემ, ჩემი კვდრის სულსა ვფიცამ, ახლავე მთელს ქვეყანას თავზე დავახვევ. გესმის, შე სვინიდის გაყიდულო, შე კუდიანო შენა!..

— ნუ ანჩხლობ, გოგო, განა არ იცი რო დღეს ჩემს ხელში ხარ?!.— უპასუხა მაცდურის ხმით ნენემ.

— როგორ თუ შენს ხელში?!. შენ ხელში რათ ვიქნები?!. გადი მეთქი აქედგან. შეუტია უფრო გაანჩხლებულმა სალომემ, რომელსაც სიმწარისაგან ალ-მური ასდიოდა ლამაზ სახეზე.

— ქალო, ტყუილად არა ჯავრობ!?. დღეს იქნება, თუ ხვალ, არ აგცდება, უნდა დამმორჩილდე და რაღა საჭიროა ჰირვეულობა!?. არ გირჩევნია საამ-სიტკბოობით დამყვე ნებას?!.—აკვესებდა გაფუჭებული ზნე-ხასიათით ნენე და თან დაუმატა ფურო შხამ-გესლიანად:—ორი დღეა, ვიცი, პურიც არა გაქვს. ხვალაც დიდებული დღესასწაულია, ამას მოსდევს ახალი წელიწადი, ნათლისღება. არა გაბადიარა და დიდი გული კი გაქვს; რის პატრონს, რო არ ვიცი?!. შენ, ჩემო კარგო, მაგ ჯიუტობით ანგელოზივით ბავშვსაც შემოიკლამ შიმშილით და მერე?!. სულელო, ისარგებლე, ვიდრე დრო გაქვს. ამისთანა შემთხვევას ძნელად ჩაიგდებ ხელში. ეხლაა შენი დრო, თორემ ერთი ორი წლის შემდეგ კისერზედაც რო ჩამოეკიდო კაცებს, ზედ არ შემოგხედამენ. ასეთი გოგოებია, რო შენ იმათ ნარცხათაც არა ღირხარ. ეს არის თვალში მოსვლიხარ იმ სულელს პოღოსას, თორემ აბა რომელი გიჟი და დამთხვეული მისცემს გლეხის გომბიოს, დურგლის ნაქვრივალს ას თუმანს ამ თავით, თვეში ათ თუმანს, ორს კარგა მდიდრულად გამართულს ოთახს თავისის ძვირფასის ხალებით, მოწყობილობით, მოსამსახურით, ჭამა-სმით, ჩაცმა-დახურვით და აუარებელის ძვირფასის საჩუქრებით, რომელსაც გაძლევს სულელი პოღოსა?!. პოღოსას ხელში ქალბატონი იქნები,—შე უგონო!.. ისე იცხოვრებ, როგორც ერთი დიდი ვინმე კნეინა!..

— ერთი ათათ ამაზე ძრიელაც რო გამიჭ რეს, სული რო მხდებოდეს შიმშილით, არ ვიზამ, არა!.. არ ვიზამ იმას, რის ქნაც არ შესაძლებელია, გაიგე თუ არა, ბებერო უნამუსო. ჩემი ნამუსი, ჩემი ქმრისა და შვილის პატიოსნება მირჩევნია მთელს ქვეყანას, მდიდრულს ცხოვრებას!.. ათი ათასჯერ დამითხოვნიხართ შენცა და სხვებიც, გასწით, მომშორდით თავიდგან! გადი აქედგან, ტყუილად ნუ ასავსავებ წანკალიანს ენას! რით ვერ გაიგო შენმა გამოჩერჩეტებულმა ყურებმა, რო არ ვიზამ, არა!..

— ჰო, ვთქვათ, მე თავი დაგანებე! მერე რასა და ვისი იმედი გაქვს? პური არ გინდა, წყალი?!. შე თვალდამდგარო, პოღოსამ მითხრა: ერთი კიდევ უკითხე პირი, თუ ქნას, ხო რა კარგია, არა-და, გამოუცხადე, რო დღესვე მამცეს ჩემი ოთხი თვის ქირა ღ სახლიც დამიცალოსო. აბა შე საცოდავო, რა უნდა მისცე და სად უნდა წახვიდე, ვის უნდა მიადგე ამ ბედნიერს დღეებში, როცა არა გაბადიარა?!, ვაი რა სულელი ხარ. ბედნიერება კარზე მოგდგომია, ღმერთი ხელს გიმართამს და შენის უგონობით წიხლსა სცემ, ღვთის მოწყალებას უკადრისობ?!. არა, შენისთანები არიან დიდ-კაცის ცოლები და ქალები, რო უარესებს სჩადიან?!. შენ რაო, ვითომ ვისი რა ტყი-ტომარა ხარ?!

— არ მინდა, არ ვიზამ, არა!.— შეუტია ყრუ ჩურჩულის ხმით გაანჩხლებულმა სალომემ, რადგან ბავშვს ჩაეძინა და მაღალი ხმა გამოაღვიძებდა. წამოდგა ზეზე თავრეტ-დასხმული და ნენეს გაუთავებელის უწმაწურის ქადაგებით გაბოროტებული. კარგა ხანი იდგა გაჩერებული, თითქო იგონებს რასმეო. ნენეს-კი ეგონა, ეს-ეს არის მოლბაო, და დასძინა მაცდურის ღიმილით.

— გონება მოიკრიბე, შვილო სალომე. ხო ხედამ გაჭირებული ხარ და ჩვენს იქით გზა არა გაქვს!..

— არ ვიზამ-მეთქი, არა, შე აძაღლებულო, სულ-წაწყმედილო. შეუტია მოთმინებიდგან გამოსულმა სალომემ და დაუმატა: აი გაიღვიძებს თუ არა ბავშვი, გავალ ვითხოვ მოწყალებას, ვიდრე ეს უქმეები გავიდოდეს და საქმეს ვიშოვნე რასმე. ვიშოვნი სახლის ქირას და მოგაოხრებთ. თქვენი სახლიც აღარ მინდა, უქმეების შემდეგ დავცლი. ეხლა ჩემთვის ამ ფასიანი ოთახი აღარ არის საჭირო. კარგად გაიგე, უსულ-ღმერთო ბებერო, და მომშორდი თავიდან, თორემ ამაზე მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან. აიმსო მოთმინების საწყაო. გიგოს გაზდამ, ან შემოგაკლავ თავს, ან სულ ერთიანად ჩამოგაკაწრავ მაგ უსირცხვილო თავ პირს.

— კარგი, ქალო, რისა წიწმატობ. ურჩი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასო, ნათქვამია. იეცი თავში ქვა და მუცელში სამართებელი. მე შენი გულისთვის გეუბნები, შე უბედურო, თორემ ჯანდაბამდისაც გზა გაქვს. ბიაბრუთაცა მხდი ამ დროულს ადამიანს, რისთვის, რაო ჩემო!?. აი, მე წავალ, დედავ და თვალო, და რაც მოგივიდეს ამ ორ დღეზე, ჩემი ბრალი არ იყვეს. ნახე, ხვალინდელ დღეს გადაგიყრიან კარში რაღაც ხარტალ-ხურტალი გაქვს და გაგიძახებენ გარეთ ცის ქვეშ შენცა და შენ შვილსაც თუ არა!.. თუ ასე არ გიყონ, შენი ფეხი დამკარი.

— ვერ ეღირსებით მაგას ვერა!.. აი გამოიღვიძოს ბავშვმა!.. რო დაიხოცნეთ, გაწყდეთ, არ ვიზამ იმას, რაც თქვენა გწადიანთ. მოვკვდები—მოვკვდე, გამაგდებთ სახლიდამ—გამაგდეთ, რაც გეწადოთ აასრულეთ, ნამუსს-კი არა ვყიდი, არა, არა და არა!.. შეჰყვირა ძალზედ გაბოროტებულმა სალომემ და ისეთი მკაცრი სახე მიიღო, რომ კუდიანს დედაკაცს ცოტა არ იყოს შეეშინდა და გავიდა საჩქაროდ.

სალომე დარჩა მარტო და დაიწყო მწარედ ქვითინი. „დასწყევლოთ ღმერთმა, რას გადამეკიდნენ?!. ნუ თუ ჩემს მეტი ქალი აღარ არის ამ ოხრად დაჲარჩენ ქვეყანაში. თუ დამიბრიყვეს ოხერი, ობლად დარჩენილი ქალი და უნდათ გამთელონ?!. რა ნახეს ჩემს ოხერ-ტიალ თავში?!.“—ეკითხებოდა მწარის ქვითინით საბრალო სალომე თავისს თავს. ამის ხმაზედ გამოეღვიძა ბავშვს. ედგა და გაქანდა შვილისაკენ, ახადა პირს და ბუთხუზა ლამაზმა გიგომ შეღრიჭა დედას. „შენ გენაცვალოს, დედა, შვილო, გაიღვიძე?..“—ჰკითხა ენის მოჩლუნგებით და ალერსით დაეწაფა შვილს საკოცნელად. „დიახ, როგორ არა, ენაცვალოს დედა, გიგოს უნამუსო დედა რად უნდა?: არ ვიზამ, არა, განა შვილო?!“ იმეორებდა თავისს გულში სალომე და აღტაცებით ჰკოცნიდა ბავშვს. როდესაც იჯერა გული შვილის ალერსით, ააყენა, გაახვია თბილად ათას რა გინდა რაში, თითონაც წამოისხა შალი და იმ უდიერს ყინვაში გაიკეტა კარები სალომემ სრულის იმედით, რო იშოვნიდა რასმე და გადარჩებოდა შევიწროებულს მდგომარეობას. დარწმუნებული იყო, ვისაც უამბობდა თავისს ამბავს, შეატყობინებდა თავისს გაჭირვებას, არც ერთი ქრისტიანი არ დასტოვებდა უნუგეშოდ. ისიც დღევანდელს დღეს.

რევაზ ფავლენიშვილი

(დასასრული იქნება)

## ახალი ამბავი

*** მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა განკარგულება მოახდინა, რომ 25 დეკემბერს შობა დღეს ყველა ეკკლესიებში წირვის შემდეგ მოკრებილი იქმნას შემოწირულება ახალ-ქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის ბრძანებით სურამის საავადმყოფო გაფართოებულ იქმნა.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით გაუქმდა რამდენიმე სასწავლებელი ახალქალაქის მაზრაში იმის გამო, რომ ის შენობები, რომლებშიაც მოთავსებული იყო სასწავლებლები, მეტად დაზიანდა 19 დეკემბრის მომხდარ მიწის ძვრისაგან.

*** ქუთაისის მემამულეებს განუზრახავთ დააარსონ „გლეხის მემამულეთა ამხანაგობის“ მაგვარი საზოგადოება. წილის ფული 25 მანეთი ეღირება.

*** ქალაქის მდივნის სამსახურის ვადის გასვლის გამო მომავალ 1900 წლის იანვარში მოხდება არჩევანი ამ მდივნისა.

*** რადგანაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ახალი წესდება სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებისა კავკასიაში, უქმდება ამ საზოგადოების განყოფილებანი ახალ-ციხესა, ახალქალაქსა და თელავში.

*** ძმ. მირზოევების და ამხ. ნავთის მწარმოებელ ამხანაგობას 5000 მანეთი შეუწირავს ახალ-ქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. ამავე ამხანაგობას 500 მანეთი გადაუდვია ტფილისის ღარიბ მცხოვრებთათვის დასარიგებლად.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა, რომ ის მკურნალები და ფერშლები, რომელნიც სამეურნეო გამგეობაში, მსახურობენ, მოემზადნენ ახალქალაქში წასასვლელად, რათა, თუ საჭიროება მოითხოვს, სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ მიწისძვრისაგან დაშავებულთ.

*** ახალქალაქის მაზრაში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა შემწეობისათვის „ივერიის“ რედაქციამ მიიღო ფული თ. მიხ. გრუზინსკისაგან ერთი თუმანი, თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილისაგან ერთი თუმანი, თ. პ. ა. გრუზინსკისაგან ერთი თუმანი, თ. ილია ჭავჭავაძესაგან ერთი თუმანი, კნ. ნ. ზ. ანდრონიკაშვილისაგან ხუთი მანეთი, კ. ბ. ჰილიაევისაგან ხუთი მანეთი, თ. ვლად. მაყაშვილისაგან ორი მანეთი, სოლომონ ჩიტაძისაგან 1 მ., ს. მგალობლიშვილისაგან 1 მ., ა. არდაზიანისაგან 1 მ. 50 კ., ნიკ. ბერიშვილისაგან 1 მ., ალ. დავითაშვილისაგან 1 მ. 20 კ., მღვდ. ა. მოლოდინაშვილისაგან 1 მ., დ. მღებრიშვილისაგან 1 მ., X—საგან 1 მ. 50 კ., ვ. კოლმაკოვისაგან 80 კ., ვ. ტაბატაძესაგან 50 კ., ნ. ხაცვლიშვილისაგან 50 კ., ს. ცაგარეიშვილისაგან 50 კ., რჩეულიშვილისაგან 50 კ., ს. მახათაძესაგან 30 კ., თ. მესხიშვილისაგან 25 კ. და ნ. ვედენეევისაგან 15 კ.,—სულ 64 მანეთი და 70 კაპ. ეს ფული იმავ დღესვე დანიშნულებისამებრ გადაეცა.

*** გუშინ, 24 დეკემბერს, შეერთებულმა კრებულმა ტფილისის თავად აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობისამ გადასწყვიტა ასი თუმანი შეაწიოს ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთ.

*** იმ საღებავების ქიმიურად გამოკვლევის დროს, რომლებსაც შოშის ხეების დასამშვენებლად ჰხმარობენ, აღმოჩნდა, რომ ბევრი შეღებილია კაცის ჯანმრთელობისთვის მავნებელ წამლით, ამიტომ ურჩევენ მყიდველებს ასეთის საღებავის ყიდვის დროს ფრთხილად მოიქცნენ.

*** როგორც „ტფილ. ფურ.“ იუწყება, ტფილისის მანდილოსნებსაც განუზრახავთ რაიმე შემწეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმოუჩინონ მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთ. მანდილოსანნი ტანისამოსს ამზადებენ ახალქალაქში გასაგზავნად, მსურველთ შეუძლიანთ შემოწირულება კნ. მ. თუმანოვისას გაუგზავნონ (ბარიათინსკის ქ., № 8).

** გუშინ, 24 დეკემბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელმა საყურადღებო განკარგულება მოახდინა. ეს განკარგულება შეეხება სახალხო მატარებლების ვაგონების სიფთად შენახვას. განკარგულების ძალით რკინის გზის ყველა უფროს აგენტებს დავალებათ, სამსახურის გამო რკინის გზით სიარულის დროს, თვალ-ყური ადევნონ ვაგონებსა და იმას, თუ რამდენად არის სისუფთავე და წესიერება დაცული ვაგონებში. ყველა მატარებლებზე განსაკუთრებული საკანტროლო წიგნაკი იქმნება. აგენტებმა თავიანთი შენიშვნები ამ წიგნაკში უნდა შეიტანონ. შემდეგ ეს წიგნაკი მთავარ-სადგურების დეპოს უფროსებს წარედგინებათ.

** გაზ. „კავკაზს“ ახალქალაქიდგან დეპეშით ატყობინებენ: ბარალეთის საზოგადოებაში მიწის ძვრისაგან უფრო დაზარალდნენ შემდეგი სოფლები: ეხტილა, ჯანჯეხი, აგანა, ეხტილა-სამსარი და ტაკსამსარი, რომელნიც ახალქალაქიდგან ოცის ვერსის მანძილზედ მდებარეობენ, აბულის მთის ძირას. ამ სოფლების მცხოვრებნი სომხები არიან. ვინც-კი გადარჩა ცოცხალი, მახლობელ სოფლებში გაიხიზნენ. დაღუპულთა რიცხვი ჯერ არ იციან. სოფ. მარენია, რომელიც 120 მეკომურ მცხოვრებს შეიცავს, სულ დანგრეულია; ხალხი, მათი სარჩო-საბადებელი და შინაური პირუტყვი ნანგრევების ქვეშ მოჰყოლიან. ამბობენ, ორას სულამდის დაიღუპაო. 67 გვამი ამოთხარეს, დანარჩენის ამოთხრა შეუძლებელია. სოფელი ტაკსამსარი ერთიანად დანგრეულა. იპოვნეს 30 კაცის გვამი. რამდენი კაცი დაიღუპა ამ სოფელში, არ იციან. სოფელ ახტილაში, რომელშიაც 70 მცხოვრები ითვლება, ეკკლესია და სახლები ნახევრად დანგრეულა; დაღუპულა ექვსი კაცი; შინაური პირუტყვი გადარჩენილა. სოფელი ეხტილა-სამსარი ნახევრად დანგრეულა; დაღუპულა 26 სული; ცოტა პირუტყვი გადარჩენილა; პური და სხვა საცხოვრებელი ნანგრევებს ქვეშ მოჰყოლია. სოფ. აგანაში დაღუპულა 80 კაცი. სოფ. ჯანჯეხი დანაგრეულა ნახევრად; ადამიანები და შინაური პირუტყვი ბევრი დაღუპულა. ოთხი დღეა მოუ[illegible] ნავაგინის რაზმის მესამე ბატალიონი. გარეშემო სოფლებში ჩამონგრეულა რამდენიმე სახლი, ახალქალაქში ახალი ყაზარმები და აფიცერთა სადგომები. მიწის ძვრა მეტად ძლიერი იყო, დაიწყო 19 დეკემბერს დილით, მთელი დღე ირყეოდა მიწა და ისმოდა მიწის ქვეშიდგან შემზარავი ზუილი. შემდეგ დღეებში თუმცა ისე ძლიერ არა ყოფილა მიწის-ძვრა, მაგრამ მაინც არ შეწყვეტილა. 40 დაჭრილი მოიყვანეს სოფ. ბარალეთში, რომელთაც დუხაბორების მარხილებით ჰგზავნიან ახალქალაქში. გუბერნატორმა 23 დეკემბერს დაათვალიერა დაღუპულთა ადგილები. მეტად შემზარავი მდგომარეობაა, მით უფრო, რომ საშინელი სიცივეებია“.

## ქართული მწერლობა პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ.

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების მემამულეთა წარმომადგენელმა პარიჟის გამოფენაზედ ბ-ნმა რ. პ. ისარლიშვილმა შემდეგი წერილი მიიღო სახელმწიფოს საბჭოს წევრის, სენატორის, რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის პ. სემენოვისაგან:

„მოწყალეო ხელმწიფევ, რაფიელ პეტრეს ძე!

„მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ნოემბრის 11-დგან ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ დანიშნულ იქმენით პარიჟის 1900 წლის გამოფენის რუსეთის განყოფილების მთავარ-კომისართან წარმომადგენლად.

იმედი მაქვს, რომ ეს ოფიციალური დანიშნულება შეძლებას მოგცემთ წარადგინოთ გამოფენაზედ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა ექსპონატები ისეთის სისრულითა და სავსებით, რომლის ღირსიც ეს გუბერნიები არიან; აგრეთვე წარმატებით შეასრულებთ იმ მემამულეთა წარმომადგენლის თანამდებობას, რომელთაც ასეთი პატივი გარგუნეს და აგირჩიეს.

ცნობებს იმის შესახებ, თუ რა წესით და რიგით უნდა შეუდგეთ გამოსაფენ ნივთების შეგროვებას ქართველ მემამულეთაგან, მიიღებთ ბ-ნ მედვედევისა, სულთან-კრიმ-გირეისა და რადდესაგან.

„დავშთები თქვენი პატივის მცემელი პ. სემენოვი.“

მეორე წერილი ბ-ნ ისარლიშვილს ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის თავმჯდომარის ვ. კოვალევსკისაგან მოუვიდა. აი ეს წერილიც:

„მოწყ. ხელ. რაფ. პეტრეს-ძევ:

„მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა, ჩემის მოხსენების თანახმად, დაგნიშნათ, თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, პარიჟის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზედ რუსეთის განყოფილების მთავარ-კომისართან წარმომადგენლად.

„დავშთები თქვენი პატივის-მცემელი.

ვ. კოვალევსკი.

ამ წერილის მიღების გამო გამოფენის ქართულმა კომიტეტმა გარდასწყვიტა მიიწვიოს ყველა საპატიო კაცნი ქართველთაგან და 29 დეკემბერს მოახდინოს კრება გამოფენის შესახებ მოსალაპარაკებლად. აქვე მოგვყავს ის წერილები, რომელიც კომიტეტმა დაჰგზავნა.

„თუ რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიო გამოფენას მსოფლიო წარმატებისათვის, ეს ყველა განათლებულს კაცს მოეხსენება. არც ერთს მსოფლიო გამოფენაზედ აქამდის ქართველის სახელი არა ხსენებულა. ის გარემოება, რომ აქამდის ვერ გავაცანით ვერც ჩვენი თავი, ვერც ჩვენი ნაწარმოები, ვერც ნაყოფი ჩვენის ქვეყნისა, ვერც განძი, რომელიც ჰმარხია ჩვენის ქვეყნის გულში და რომელთაც აქვთ საქვეყნო წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა, სრულიად აუფასურებდა ჩვენს მამულს და მაში დამარხულს განძს, რომლითაც უხვად დაჯილდოვებია ბუნებას, და თითქმის მუქთად გამოგვეცალოდა ხელიდამ.

დღეს მთავრობამ დასდო პატივი ჩვენს თხოვნას და სურვილს, მიაქცია ჩვენს ქვეყანას ყურადღება და მისცა საქართველოს ნაწარმოებთა და ქართველის სახელს დიდი ადგილი რუსეთის განყოფილებაში მომავალ 1900 წლის პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ. მინისტრის განკარგულებით დაინიშნა ჩვენი ამორჩეული კაცი წარმომადგენლად ქართული განყოფილებისა.

ეს დიდი საქმე, რომელმაც უნდა მიაქციოს მთელი განათლებული, მოწადინარე და მწარმოებელი ქვეყნის ყურადღება ჩვენს ქვეყანასაც და რომელსაც თან მოსდევს წარმატება ჩვენის ქვეყნისა, გაცნობა ჩვენი მეცნიერთა და მწარმოებელთაგან, ასწევს ფასს ჩვენი მიწის ნაყოფიერებისასა და მაში დამარხულთა განძთა.

რადგან თქვენ უოველთვის თანაგრძნობით მოჰკიდებიხართ ყველა საქვეყნო წარმოების საქმეს, განყოფილება ქართველთა ნაწილისა პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ უმორჩილესად გთხოვთ უთუოდ მობრძანდეთ და დაესწროთ კრებას, რომელიც დანიშნულია 29 დეკემბერს საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზედ თავად-აზნაურთა ბანკის ზალაში მოსალაპარაკებლად, თუ ვითა მიეცეს სრული გზა ამ საქმეს, რათა ღირსეულად შევასრულოთ იგი და გავამართლოთ წინაშე მთავრობისაცა და ქვეყნისაცა ის ნდობა, რომელიც მათ აღმოგვიჩინეს ჩვენ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 დეკემბერი

**ლონდონი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ მეტუენის საკავალერიო ბრიგადა, გენერალის ბაბინგტონის უფროსობით დუგლასთან არისო. როგორც საღამოს გაზეთების დეპეშიდგანა სჩანს, ფრენჩის ჯარისათვის დამზადებული სურსათით დატვირთული მატარებელი კოლსბერგის მახლობლად მოღალატეებს აუხსნიათ და ბურებისკენ გაუქანებიათ. რათა ბურებს მატარებელი ხელთ არ ჩავარდნოდათ ინგლისელებმა ყუმბარები დაუშინეს თურმე და მატარებელი გაანადგურეს.

„რეიტერის სააგ.“-ს ატყობინებენ: რენსბურგთან გაჩერებული მატარებელი, რომელიც სურსათით იყო დატვირთული, დაღმართზედ დაქანდა კოლსბერგისაკენ; კოლსბერგის მახლობლად ვაგონები დაიმსხვრა, რის გამო ბურები მისცვივდნენ და შეუდგნენ სურსათის ზიდვას. რენსბურგიდგან მატარებელი წავიდა ერთის რაზმით და ადგილობრივის მცხოვრებლებით სურსათის გადასარჩენად, მაგრამ მოწინააღმდეგემ ყუმბარები დაუშინა. შემდეგ ბურებმა ყუმბარები ორსავე მატარებელს დაუშინეს და რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები მოჰკლეს. ჯერ არ იციან, რამდენი კაცი დაჰკარგეს ინგლისელებმა.

**ვენა.** 21 დეკემბერი. 7 საათსა და 19 წ. აქ ძლიერი მიწის-ძვრა მოხდა, რომელმაც 5 წამი გასტანა.

**პერტი.** (შოტლანდია) რკინის გზის მატარებელი, რომელზედაც სამხრეთ აფრიკისთვის გამზადებული 225 გაილენდერი მიემართებოდა საუთჰემპტონში, სადგურ ბლეკფორდ-პრელბოკთან ლიანდაგიდგან გადავიდა და დაშავდა. 12 კაცი დაიჭრა.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ: ინგლისის ჯარს ჯერ ისევ გოვაკი უჭირავს კოლსბერგის მახლობლად. რადგანაც გენერალმა ფრენჩმა მარჯვნივ მოუარა მტერს და სხვა ჯარიც მიიშველია, ამიტომ იმედი აქვთ, რომ ამ ცოტა ხანში ინგლისის ჯარი კოლსბერგს დაიჭერს.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებს ლურბანიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ გემს „Bundesrath“-ზედ აღმოჩნდა ხუთი დიდი ზარბაზანი, 7,000 უნაგირი და 180 არტილერისტი, რომელთაც ტრანსვაალში გადასვლა სურდათ.

**პარიჟი.** გეკერი დამნაშავედ იქმნა ცნობილი.

**სტერკსტრომი.** ბურებმა დღეს მოლტენო და სიპგერგტი აიღეს. გატეკრი წინა რაზმის ბანაკთან ბუშმენგუკის მახლობლად მოწინააღმდეგეს შეჰხვდა, რომელმაც როდესაც ყუმბარები დაუშინეს, საჩქაროდ თავისს პოზიციებს თავი მიანებეს და სიპგერგტი დაიჭირეს.

**კიმბერლეი.** მეციხოვნეთა შორის ავადმყოფობა გაჩნდა. ავადმყოფობა თანდათან ძლიერდება.

**რენსბურგი.** ბურები კოლსბერგში თითქმის მომწყვდეულნი არიან, მაგრამ ამის-და მიუხედავად ინგლისელებს ქალაქის ახლო არ უშვებენ. მთებში განუწყვეტელი ბრძოლაა.

**კაპშტადტი.** აქ ხმა დადის, რომ ორანჟეს რესპუბლიკის ერთი წარჩინებული მოქალაქე, პრეზიდენტ შტეინის მახლობელი ნათესავი, ამერიკაში მიდისო. აზრადა აქვს იქ ლექციების შემწეობით ორსავე რესპუბლიკის სასარგებლოდ იმოქმედოს.

**ფრერი.** ტარნიკროფის ცხენოსანთა რაზმი დღეს სპრიტფილდამდე დასაზვერად იყო და შეჰხვდა მოწინააღმდეგის ძლიერს რაზმს. მოწინააღმდეგე იმ დრომდე ისროდა ტყვიებს, ვიდრე უკან დახეული რაზმი ინგლისის ჯარის ბანაკს არ მიუახლოვდა. როგორც ამბობენ, ერთი პორუჩიკი და ხუთი ჯარის კაცი უკან აღარ დაბრუნებულან. ამბობენ, რომ ბურებს სურსათი აკლიათო.

**ლონდონი.** იუწყებიან: ინგლისისა და გერმანიის მთავრობებს ამჟამად სამეგობრო მოლაპარაკება აქვთ გემის „Bund.“-ის ინგლისელების მიერ შეპყრობის შესახებაო. გერმანიამ ამის გამო არავითარი პროტესტი არ განაცხადა და მხოლოდ მოითხოვა, რომ საქმე რაც შეიძლება ჩქარა იქმნას მორიგებული.

**ბელმონტი.** კუკს-ფერმიდგან იუწყებიან, რომ პოლკოვნიკის პილჩერის რაზმი აქ მოვიდა და ბელმონტისაკენ გაემართაო. შემდეგ იუწყებიან, რომ დღეს დილით 600 ბური დუვრ ფერმის მახლობლად უნახავთო.

**ნიუ-იორკი.** „Harold“-ის კორესპონდენტი იუწყება ვაშინგტონიდგან, რომ, როგორც ხმა დადის, ტრანსვაალს ამერიკის პრეტორიელ ელჩის პირით უთხოვნია შეერთებულ შტატებისათვის დახმარება გაგვიწიეთ ტრანსვაალისა და ინგლისის ბრძოლის საქმეშიო. კორესპონდენტი ამას დასძენს, სარწმუნო წყაროდგან დაგარწმუნებთ, რომ მთავრობას განზრახვა არა აქვს გადაუდგეს პოლიტიკას ჩაურევლობისას, თუ ამავე დროს ინგლისიც არ მიჰმართავს ასეთისავე თხოვნითაო.

**ნიუ-იორკი.** კაპიტანი რეიხმანი გაგზავნილ იქმნა სამხრეთ აფრიკაში ბრძოლის ადგილას, რათა თვალ-ყური ადევნოს ბურების ჯარის მოძრაობას.

**პარიჟი** უზენაესი სასამართლო. საჯარო სხდომაა. ფალიერმა წაიკითხა განაჩენი გოდფრუას, სობრანისდერამელის, დევოს, ბარილიეს და დიუბიუკის გამართლებისა და დერულედისა, ბიუფფეს, გერენის გამტყუნების გამო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. მას შემდეგ, როცა გამართლებულთ გასვლის წინად მაგრად ჩამოართვეს ხელი სამს ბრალდებულთ, ვექილებმა დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა სასჯელი უნდა დაენიშნოთ ბრალდებულთათ. დერულედმა, ბიუფფემ და გერენმა განაცხადეს, რომ უწყინარად ვკისრულობთ ბრალდებულად ალიარებას ჩვენის საპოლიტიკო მტრებისაგან, იმიტომ რომ ეს ხელს არ შეუშლის ჩვენთა აზრთა გამარჯვებასაო. სასამართლომ საიდუმლო თათბირის შემდეგ, ბიუფფესა და დერულედს 115 ხმის უპირატესობით ათის წლით განდევნა გარდაუწყვიტეს.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით აუწყებენ ორანჟ-რივერიდგან 22 დეკემბერს, რომ დე-აარიდგან არტილერია და ქვეითა ჯარი გაიგზავნა ფრენჩის დასახმარებლადაო.

**მოდდერ რივერი.** რამდენიმე ადგილობრივ მცხოვრებელს მისწრებს სწორედ იმ დროს, როდესაც რაღაცა უნდა ენიშნებინათ ბურებისთვის ინგლისელთა ბანაკიდგან.

**პარიჟი.** „ჰავ. სააგ.“ გერენს 10 წლით სამპყრობილეში დაპატიმრება მიუსაჯეს, ხოლო ლიურსა და სალიუსს 10 წლით განდევნა.

„მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)
გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|
| 10 მანეთი | 6 მანეთი | 4 მანეთ. |

საზღვარ-გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)
გამოვა ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც
ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| 1 წლ. | 6 თვით | 3 თვით | 1 თ. |
|---|---|---|---|
| 6 მან. | 3 მ. 50 კ. | 2 მან. | 75 კ. |

საზღვარ-გარედ წლიურად 8 მან.

წლიური ფასი შეიძლება განაწილდეს:

პირველად—5 მან., 1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი.
რედაქტ. ალ. ჭყონია. გამომც. ალ. ჯაბადარი.

პირველად—3 მანეთი, 1-ლ აპრილამდე—2 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—1 მანეთი.
დროებითი რედაქტორი ალ. ჭყონია.

განცხადების ფასი გაზეთში: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპეიკი, მეოთხეზე—5 კაპეიკი.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი: Тифлисъ въ редакцію „МОАМБЕ“ и „ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“